დანართი 1

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

I. ზოგადი ინფორმაცია

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მომზადების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბაკალავრიატს განმარტავს როგორც "აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, სასწავლო პროგრამების ერთობლიობას, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის". ხოლო უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **"ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით".** უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია **სპეციალისტის მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.**

საბაკალავრო პროგრამების შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ის ფაქტი, რომ სტუდენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში აბარებენ ფაკულტეტზე და თავიანთ ძირითად სპეციალობას, ფაქტობრივად, ირჩევენ სწავლების II ან III სემესტრიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ რეკომენდებულია სტუდენტმა I ან II სემესტრში მოისმინოს საფაკულტეტო საგნები თუ შესავალი კურსები, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს თავისი არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს, შესაძლებელია იგი პირველივე სემესტრში დარეგისტრირდეს თავისი ძირითადი სპეციალობის საგნებზე (გამონაკლისია სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, სადაც სტუდენტი პირველივე სემესტრში აკეთებს არჩევანს და განსაზღვრავს თავის სპეციალობას).

თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ზოგადი, ე. წ. ტრანსფერული უნარების შეძენაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, ერთგვარი ბლოკების – ანუ სასწავლო კურსებისა და მოდულებისგან შემდგარი მთლიანობა. ერთი და იგივე ბლოკი – ანუ მოდული მონაწილეობას იღებს ერთი საფეხურის სხვადასხვა საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამაში. ანუ ერთი და იგივე ბლოკი – მოდული მონაწილეობს ერთი საფეხურის სხვადასხვა აკადემიური ხარისხის მისანიჭებელ კურიკულუმში. შესაძლებელია, რომ ერთი მოდული "ემსახურებოდეს" სხვადასხვა საფეხურის სასწავლო პროგრამებს.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი მოდულს განმარტავს როგორც "სწავლების დამოუკიდებელ, თანმიმდევრულ ბლოკს, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას", ხოლო ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების მიხედვით, "მოდულარულ სისტემაში მოდული არის კრედიტების ერთნაირი რაოდენობის მქონე (ჩვეულებრივ 5 ან 6 ან მათი ჯერადი) სალექციო კურსების გაერთიანება".[1]

II. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტრუქტურა

1. ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინაციები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბაკალავრიატი მოიცავს 240 კრედიტს. გამონაკლისია დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც 300/360 კრედიტი ეთმობა (წელიწადში 60 კრედიტი, სემესტრში 30 კრედიტი). 240 კრედიტის ფარგლებში უნივერსიტეტმა სტუდენტს უნდა შესთავაზოს კონკურენტული, როგორც ამა თუ იმ დარგის საფუძვლების დაუფლებაზე, ისე შრომის ბაზარზე ორიენტირებული სტრუქტურა: ე. წ. ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობის კომბინაცია. გამონაკლისია ე. წ. რეგულირებადი სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამები – სამართალმცოდნეობა, მედიცინა და დაწყებითი განათლება, რომლებიც მთლიანად "ითვისებს" 240/300/360 კრედიტს და დამატებით სპეციალობასთან კომბინირების საშუალებას არ იძლევა.

თითოეული ფაკულტეტი (ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალის წარდგინებით) თავად ადგენს ამა თუ იმ დამატებით (minor) საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, როგორც მისი სპეციფიკიდან, ისე ფაკულტეტის ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე. მაგალითად, ესა თუ ის დამატებითი სპეციალობა შეიძლება განკუთვნილი იყოს მხოლოდ ამავე ან რომელიმე სხვა კონკრეტული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ან შეიძლება იღოს ღია ყველასათვის.

შესაძლებელია, საბაკალავრო პროგრამები სტრუქტურულად ისე იყოს აგებული, რომ სტუდენტს საშუალებას აძლევდეს 240 კრედიტის ფარგლებში აიღოს ორი ძირითადი ან ორი დამატებითი სპეციალობა (ეს არ ეხება ე. წ. რეგულირებად სპეციალობებს). ორი ძირითადი ან ერთი ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობის კომბინაცია შესაძლებელია ერთი ფაკულტეტის და მონათესავე სპეციალობების (ერთი აკადემიური ხარისხის) ფარგლებში (განსაკუთრებით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ პროგრამებში.[2] ძირითადი და

---

[1] (Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process, 2005, p. 383).

[2] ამგვარი კომბინაციის კარგ მაგალითად გამოდგება გენტის უნივერსიტეტის (ბელგია) ფილოლოგიური მიმართულების საბაკალავრო პროგრამები, რომლებიც სტუდენტს ორი სხვადასხვა ენისა და მათთან დაკავშირებული სასწავლო კურსების აღებას ავალდებულებს. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზეც შესაძლებელია ქართული ფილოლოგიის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის კომბინირება ნებისმიერ სხვა ფილოლოგიური მიმართულების საბაკალავრო პროგრამასთან.

დამატებითი სპეციალობის (სპეციალობების) არჩევის საკითხს წყვეტს სტუდენტი. ბუნებრივია, ორი major-ის, ან ძირითადი სპეციალობის პარალელურად ორი minor-ის აღება სტუდენტისგან მოითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ანუ საგნების არჩევას) მაქსიმალური "სიფრთხილით" (ამ შემთხვევაში ე. წ. თავისუფალი კრედიტებიც ძირითად და დამატებით სპეციალობას ხმარდება).

2. კრედიტების განაწილება

სასწავლო კურსების/მოდულების კრედიტები 5-ის ჯერადი უნდა იყოს (მოდულის შემადგენელი ცალკეული კურსის კრედიტი შეიძლება იყოს განსხვავებული, მათ შორის 2,5-). გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას იმ რეგულირებადი სპეციალობების მიმართ, რომელთა კურიკულუმიც შედარებით ავტონომიურია და მისი სპეციფიკიდან გამომდინარე ნაკლებადაა დაკავშირებული სხვა ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებთან (ესენია: სამართალი და მედიცინა).

ძირითად სპეციალობას (major) უნდა დაეთმოს 180 კრედიტი (სადაც აუცილებლად შედის ე. წ. საფაკულტეტო და ძირითადი სპეციალობის მაპროფილებელი საგნები), ხოლო დამატებით სპეციალობას (minor) – 60 კრედიტი. თავის მხრივ, 180 კრედიტი უნდა განაწილდეს შემდეგნაირად:

ე. წ. საფაკულტეტო საგნები, მათ შორის უცხო ენა (30-50 კრედიტი, უცხო ენა – მინიმუმ 10 კრედიტი) + საბაკალავრო ნაშრომი (5-15 კრედიტი, არსებობის შემთხვევაში) + პრაქტიკა (5-10 კრედიტი, არსებობის შემთხვევაში) + ე. წ. თავისუფალი კრედიტები (10-20 კრედიტი) + ე. წ. მაპროფილებელი საგნები (110-120 კრედიტი).

სხვადასხვა ფაკულტეტზე 180 კრედიტის განაწილება შესაძლებელია ასიმეტრიულად. ფაკულტეტი წყვეტს 180-დან კრედიტების რა რაოდენობა უნდა დაეთმოს ე. წ. საფაკულტეტო საგნებს, ხოლო სასწავლო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის სტატუსი და მოცულობა (ანუ შევა თუ არა ამა თუ პროგრამის კურიკულუმში და რამდენი კრედიტი დაეთმობა მას) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის გადასაწყვეტია.

პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილება "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ".

საბაკალავრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს საუნივერსიტეტო მოთხოვნებს, რომლებიც განისაზღვრება თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

რეგულირებადი სპეციალობების შემთხვევაში 240/300/360 კრედიტის განაწილების საკითხს წყვეტს შესაბამისი ფაკულტეტი.

3. ე. წ. საფაკულტეტო საგნები

ე. წ. საფაკულტეტო საგნებს აქვთ მრავალმხრივი ფუნქცია: ისინი სტუდენტებს ეხმარება პროფესიულ ორიენტაციაში, მომავალი სპეციალობის განსაზღვრაში, გარკვეული დარგობრივი თუ ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის შეძენაში. საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის # 633 ბრძანების შესაბამისად (კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ამოქმედებამდე), ბაკალავრიატის კურსდამთავრებული იძენს ჰუმანიტარულ, სოციალურ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ა. შ. ბაკალავრის კვალიფიკაციას გარკვეულ სპეციალობაში. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის შედგენის დროს ე. წ. საფაკულტეტო საგნების საშუალებით სტუდენტს უნდა მივცეთ არა მხოლოდ ვიწრო დარგობრივი, არამედ, ასე ვთქვათ, ზოგადი კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობა.

4. ე. წ. თავისუფალი კრედიტები

რაც შეეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს, სტუდენტი მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით ირჩევს მისთვის სასურველ საგანს (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი. საგნის ასარჩევად ერთადერთი დაბრკოლება შეიძლება გახდეს საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე).
რეგულირებადი სპეციალობების შემთხვევაში შესაძლებელია, ფაკულტეტმა განსაზღვროს ის სპეციალობები, რომელთა საგნების არჩევის უფლებაც ენიჭებათ სტუდენტებს ე. წ. თავისუფალი კრედიტების მისაღებად.
ამ ე. წ. თავისუფალმა კრედიტებმა სტუდენტისთვის შეიძლება შეიძინონ პრაქტიკული მნიშვნელობაც. მაგალითად, თუ სტუდენტს უკვე აღებული აქვს კრედიტები ერთი გარკვეული პროგრამის ფარგლებში და მან გადაწყვიტა ძირითადი ან დამატებითი საბაკალავრო პროგრამის შეცვლა, უკვე მინიჭებული კრედიტები კი არ "ეკარგება", არამედ ექცევა ე. წ. თავისუფალი კრედიტების კატეგორიაში, რაც საშუალებას აძლევს, რომ მიიღოს სასურველი კვალიფიკაცია დამატებითი სემესტრის გარეშე, ან ნაკლები რაოდენობით საგნების დამატებით. აქედან გამომდინარე, ამ ე. წ. თავისუფალი კრედიტების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეფორმების საწყის ეტაპზე, როდესაც ინფორმაციის თუ გამოცდილების ნაკლებობის გამო, ამა თუ იმ საგანზე რეგისტრაციისას სტუდენტები ხშირად მცდარ არჩევანს აკეთებენ და შეცდომის გამოსწორება კი დამატებით დროსთან და ფინანსებთან არის დაკავშირებული.

5. არჩევითი საგნები

თითოეულ საბაკალავრო პროგრამაში არჩევით საგნებს (არჩევით მოდულს) უნდა დაეთმოს ე. წ. მაპროფილებელი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტების გარკვეული რაოდენობა (10-50 კრედიტი) (გამონაკლისია რეგულირებადი სპეციალობები).
თანამედროვე პროგრამები ჩვენგან სწავლებისა და კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდებისა და მიდგომების დანერგვას მოითხოვს. სწორედ ამიტომ თითოეული საბაკალავრო პროგრამის არჩევითი საგნების ჩამონათვალი სასურველია შეივსოს მომიჯნავე დარგების რელევანტური სასწავლო კურსებით.
საბაკალავრო პროგრამაში (პროგრამის მოდულში) წარმოდგენილი არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა არ უნდა იყოს სტუდენტის მიერ ასარჩევი საგნების

კრედიტების რაოდენობაზე 1,5-ჯერ მეტი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არჩევითი საგნები შეთავაზებულია სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან.

III. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შინაარსობრივი მხარე

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განაწილება უნდა მოხდეს ე. წ. დუბლინის დესკრიპტორის საფუძველზე (იხ.: http://www.tsu.ge/qa/doc/dublin%20descriptors-internet.doc), ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებულ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს მიხედვით.[3]

რეგულირებადი სპეციალობების (მედიცინა, სამართალი, განათლება) სასწავლო პროგრამები შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ და აღიარებულ პროფესიულ სტანდარტებს.

არარეგულირებადი პროფესიები შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამის დარგობრივ მოთხოვნებს ან პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ შესაბამის დოკუმენტებს (მათი არსებობის შემთხვევაში).

პროგრამების შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას: ა) ამა თუ იმ დარგის სწავლებისა და კვლევის ტრადიცია საქართველოსა და ჩვენს უნივერსიტეტში; ბ) მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება (მათი სასწავლო და კვლევითი პროგრამები); გ) ბოლონიის პროცესის მოთხოვნები, კერძოდ, ე. წ. თუნინგის პროექტის მასალები ("საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში") და ბრიტანეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ შემუშავებული და რეკომენდებული დოკუმენტები:

მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ბიზნესი, ისტორია, ევროპეისტიკა, განათლების მეცნიერებები, უმაღლესი საექთნო განათლება:
Tuning Educational Structures in Europe, Universities' Contribution to the Bologna Process (იხ.: http://tuning.unideusto.org/tuningeu, იხ. აგრეთვე: http://www.tsu.ge/qa/tuning/Book_Tuning_II_in_Georgian_PDF.pdf).

ბუღალტერია, სოფლის მეურნეობა, ანთროპოლოგია, არქეოლოგია, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება და დიზაინი, ხელოვნების ისტორია, ბიომედიცინა, ბიომეცნიერებები, მშენებლობა, ბიზნესი და მენეჯმენტი, ქიმია, სიძველეთმცოდნეობა, ბიზანტინსიტიკა და ნეოგრეცისტიკა, კომუნიკაცია, მედია, კინო და კულტურის მეცნიერებები, ინფორმატიკა, კრიმინალისტიკა, ცეკვა, დრამატული და საშემსრულებლო ხელოვნება, სტომატოლოგია, სკოლამდელი აღზრდა, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, ინჟინერია, ინგლისური, ფინანსები, გეოგრაფია, ჯანდაცვა, ისტორია, მასპინძლობა, სპორტი და ტურიზმი, ენები და მათთან დაკავშირებული სწავლება, სამართალი, ბიბლიოთეკამცოდნეობა და საინფორმაციო მენეჯმენტი, ენათმეცნიერება, მათემატიკა, სტატისტიკა და ოპერაციული კვლევა, მედიცინა, მუსიკა,

[3] იხ. აგრეთვე: The Official Bologna Seminar on "Bachelor's Degree: What is it", 25-26 November 2004, St. Petersburg, Russia.

ფილოსოფია, ფიზიკა, ასტრონომია და ასტროფიზიკა, პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, სოციალური პოლიტიკა და ადმინისტრაცია, სოციალური მუშაკი, სოციოლოგია, თეოლოგია და რელიგიათმცოდნეობა, ქალაქის დაგეგმარება, ვეტერინარია, ეკონომიკა და სხვ. იხ:
http://www.qaa.ac.uk/academicinfrastructure/benchmark/honours/.

IV. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის აღწერილობა (დახასიათება).

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

ძირითადი (major) სპეციალობისათვის:

1. ძირითადი (major) საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება.

კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ამოქმედებამდე, საბაკალავრო პროგრამა (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სპეციალობა), უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს ე. წ. კლასიფიკატორს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანებით (გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი უნივერსიტეტს დართავს ნებას გამოაცხადოს მიღება იმ სპეციალობაზე, რომელიც ე. წ. კლასიფიკატორში მითითებული არ არის).
შესაძლებელია, რომ უნივერსიტეტს, მისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსებიდან, ფაკულტეტის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, ამ თუ იმ მიმართულებით ჰქონდეს მხოლოდ ძირითადი, ან მხოლოდ დამატებითი სპეციალობა.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (ქართულად და ინგლისურად).

კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ამოქმედებამდე, საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ანუ აკადემიური ხარისხი მითითებული უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანების შესაბამისად. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ამოქმედების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ანუ აკადემიური ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დოკუმენტს. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი უნდა მიეთითოს ინგლისურადაც დიპლომის დანართისთვის.

3. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი / კოორდინატორი (მისი CV).

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შექმნაში მონაწილეობენ შესაბამისი დარგის სრული და ასოცირებული პროფესორები, ხოლო მათგან ერთ–ერთი არის კოორდინატორი მოცემული პროფილის აკადემიური პერსონალის საერთო

შეთანხმებისა და გადაწყვეტილების საფუძველზე. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კოორდინატორი იცვლება ყოველწლიურად, როტაციის წესით.
პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს მოწვეულმა, შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე პირმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს თსუ აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
პროგრამის კოორდინატორის კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსსა და მიზანდასახულობას.
პროგრამის კოორდინატორი კოორდინირებას უწევს კურიკულუმის შემუშავების პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კოორდინატორი უზრუნველყოფს კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უკეთებს პროგრამის საჯარო განხილვას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (ინსტიტუტი, დეპარტამენტი, კათედრა და ა. შ.), ან შესაბამისი პროფილის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების სხდომაზე. საჯარო განხილვის ოქმი წარდგენილ უნდა იქნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში პროგრამის აღწერილობასთან ერთად.
პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის, კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.
პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ხარისხზე (ანუ იგი ვალდებულია, რომ პროგრამაში ჩართოს მხოლოდ ის სილაბუსები, რომლებიც წაკითხული აქვს და რომელთა შინაარსი შეესაბამება პროგრამის მიზანდასახულობასა და სწავლის შედეგებს).
საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კოორდინატორი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.
საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კოორდინატორს ევალება: სტუდენტების ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, კონსულტაციის გაწევა სტუდენტების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სხვ.
სრული ან ასოცირებული პროფესორი (ასევე მოწვეული, შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და დარგობრივი კვალიფიკაციის პირი) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი.

4. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება).

ა) პროგრამის მიზანი: მკაფიოდ, სასურველია პუნქტობრივად მიეთითოს პროგრამის მიზნები და აქტუალობა.

ბ) სწავლის შედეგები: სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად.
პროგრამაში დიფერენცირებულად უნდა მიეთითოს ის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარები, რომლებსაც შეიძენს კურსდამთავრებული.

გ) დასაქმების სფეროები: პროგრამის მიზანდასახულობა, შინაარსი და სტრუქტურა, სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს დასაქმების მითითებულ სფეროებსა და საქართველოს კანონმდებლობას.
პროგრამის შემუშავების დროს რეკომენდებულია აქტიური კონსულტაციები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რომ მათთან ერთად განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის, კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შრომის ბაზარზე ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

დ) სწავლის გაგრძელების საშუალება: უნდა მიეთითოს თუ რომელი პროფილის სამაგისტრო პროგრამებზე შეძლებს სწავლის გაგრძელებას აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული (უნდა მიეთითოს სამაგისტრო პროგრამების ზოგადი პროფილი და არა ამჟამად არსებული სამაგისტრო პროგრამების სახელწოდებები, ვინაიდან პროგრამულ აკრედიტაციამდე ისინი მუდმივად შეიცვლება).

5. ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა (სემესტრი).

სტუდენტისთვის საორიენტაციოდ და სარეკომენდაციოდ უნდა მიეთითოს ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო სემესტრი (ანუ მაქსიმუმ რომელ სემესტრში უნდა აირჩიოს მან თავისი ძირითადი სპეციალობა, რომ სემესტრის დამატების გარეშე, ანუ რვა სემესტრში შეძლოს მისი დასრულება).

6. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა.[4]

---

[4] ამ პუნქტის შევსება სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო პროგრამას ასეთი წინაპირობა არ გააჩნია.

ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობები (მაგალითად, ეს თუ ის სასწავლო კურსი (კურსები) და მასში (მათში) მიღებული მაღალი შეფასება, სტუდენტის რეიტინგი, ამა თუ იმ უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე და სხვ.). ასევე შესაძლებელია განისაზღვროს სტუდენტთა ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მომზადებასაც შეძლებს ფაკულტეტი აღნიშნული მიმართულებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე.
ამგვარი შეზღუდვებისა და პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც სპეციალური (დამატებითი) საფაკულტეტო რეგულაციებით უნდა განისაზღვროს.

7. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტრუქტურა – სასწავლო გეგმა (მოდულები, საგნები, შესაბამისი კრედიტები).

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სასწავლო გეგმა წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალურ ცხრილში: ***იხ. ფორმა 1.***
პროგრამებში არ უნდა ფიგურირებდეს "კურსის" ცნება, რაც ეწინააღმდეგება ახალი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების აგების პრინციპს. "კურსი" უნდა შეიცვალოს "სემესტრით". საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში უნდა მიეთითოს, შემოდგომის თუ გაზაფხულის სემესტრში შეუძლია სტუდენტს ამა თუ იმ სასწავლო კურსის გავლა და არა სწავლის სემესტრი; მის ნაცვლად უნდა მოხდეს მხოლოდ საგნების თანმიმდევრობის განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ სასწავლო კურსის მოსმენა მკაცრად განსაზღვრულ წინაპირობებთან არის დაკავშირებული.
სასწავლო გეგმაში მოყვანილი სხვა ფაკულტეტის სასწავლო კურსების / მოდულების კრედიტები უნდა იყოს არა ნებისმიერი, არამედ აღნიშნულ ფაკულტეტთან შეთანხმებული. სხვადასხვა სპეციალობის კურიკულუმში მითითებული საფაკულტეტო საგნების კრედიტები უნდა იყოს ერთნაირი და არა განსხვავებული.

8. სასწავლო კურსების/მოდულების სილაბუსები.

სილაბუსი წარმოდგენილი უნდა უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი ფორმის მიხედვით (იხ.: http://www.tsu.ge/qa/syllabus.htm).
სილაბუსში აუცილებლად უნდა მიეთითოს თითოეული ლექციის / სემინარის / პრაქტიკუმის / ლაბორატორიული სამუშაოს თემა, ხოლო ყოველი თემის შემთხვევაში შესაბამისი სახელმძღვანელო და გვერდები (სხვაგვარად შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად შეესაბამება სასწავლო კურსის / მოდულის კრედიტი სტუდენტის დატვირთვას).
სწავლების ფორმატი / სწავლებისა და შეფასების მეთოდები უნდა იყოს მრავალფეროვანი. მაგალითად: დასწრება, სემინარი, პრაქტიკუმი, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი წერითი ნამუშევარი, ე. წ. რეფერატი, თარგმანი, პროექტი, პრეზენტაცია და ა. შ.

9. სასწავლო კურსების / მოდულების ანოტაციები.

საგნის / მოდულის ანოტაციაში მითითებული უნდა იყოს სწავლის მიზანი და იგი არ უნდა აღემატებოდეს 10-15 სტრიქონს.
საგნების / მოდულების ანოტაციების წარმოდგენა საჭიროა სასწავლო კურსების კატალოგისთვის და უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ვებ-გვერდზე განსათავსებლად.

საბაკალავრო პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:

დამატებითი (minor) სპეციალობისათვის:

1. დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება.

იხ. კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

2. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება).

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს და არ მოიცავს საბაკალავრო ნაშრომს. დამატებითი სპეციალობა და მის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში და მისი წყალობით სტუდენტი იძენს გარკვეულ საბაზო დარგობრივ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, რომლებიც ეხმარება მას შრომის ბაზარზე ან სწავლების შემდეგ საფეხურზე.
შესაძლებელია სარეკომენდაციოდ განისაზღვროს major-minor პროგრამების კომბინაციები, რომელთა პარალელური დაუფლება მომგებიანი იქნება სტუდენტისთვის როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით.
ძირითადი (major) და დამატებითი (minor) სპეციალობების აღწერილობა ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს, ვინაიდან შეუძლებელია, რომ 180 და 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტმა ერთნაირი დონისა და მასშტაბის ცოდნა და დარგობრივი კომპეტენცია შეიძინოს.

იხ. აგრეთვე კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

3. საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა.[5]

იხ. კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

[5] ამ პუნქტის შევსება სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო პროგრამას ასეთი წინაპირობები არ გააჩნია.

4. პროგრამის სტრუქტურა – სასწავლო გეგმა (მოდულები, საგნები, შესაბამისი კრედიტები).

დამატებით სპეციალობაში არ უნდა მიეთითოს ისეთი სავალდებულო ან არჩევითი საგნები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ძირითად პროგრამაში, თუმცა ერთი და იმავე საგნის / მოდულის სტატუსი (სავალდებულო / არჩევითი) ძირითად და დამატებით საბაკალავრო პროგრამაში შეიძლება განსხვავებული იყოს. დამატებითი სპეციალობის კურიკულუმში 10-20 კრედიტი მაინც უნდა იყოს არჩევითი. დამატებით საბაკალავრო პროგრამაში საგნების კრედიტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ძირითადი სპეციალობის შესაბამისი საგნების კრედიტების რაოდენობას (შეიძლება იყოს ნაკლები, მაგრამ არა – მეტი).

იხ. აგრეთვე კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

5. მოდულების / საგნების სილაბუსები.

იხ. კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

6. მოდულების / საგნების ანოტაციები.

იხ. კომენტარი ძირითად საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით.

V. ერთობლივი საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამები.

საბაკალავრო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ წარმოდგენილ მოთხოვნათა ნახევარზე მეტს:

ა) პროგრამას ჰყავს ქართველი და უცხოელი თანახელმძღვანელი.
ბ) კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესორი.
გ) პროგრამა შემუშავებულია მისი განმახორციელებელი ქართული და უცხოური უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად.
დ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ჩამოდის და ჩვენს სტუდენტებს უკითხავს ინტენსიურ სალექციო კურსს/კურსებს ან მათ სთავაზობს დისტანციურ სწავლებას.
ე) პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი (მკვლევარი) ხელმძღვანელობს / თანახელმძღვანელობს საბაკალავრო ნაშრომს/ნაშრომებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
ვ) პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლას.
ზ) პროგრამა ითვალისწინებს ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ერთობლივი საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება თსუ აკადემიური საბჭოს მიერ ხდება მხოლოდ პარტნიორი უნივერსიტეტიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში (თანხმობის წერილი იხ. ფორმა 2).
ერთობლივი საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის დამტკიცებიდან 6 თვის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პარტნიორ უცხოურ ორგანიზაციას შორის უნდა გაფორმდეს სპეციალური ხელშეკრულება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესახებ.

VI. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა.

აღნიშნული საკითხი რეგულირდება თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

VII. საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ცვლილების შეტანა.

საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში ნებისმიერი სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ცვლილების შეტანა ხდება საბაკალავრო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

ფორმა 2

თანხმობის წერილი
ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის
განხორციელების შესახებ (ნიმუში)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, პროფ. _____

ბატონო _____ ,

უნივერსიტეტი (***ორგანიზაციის სრული სახელწოდება***) თანახმაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განახორციელოს ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (***საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები პარტნიორი ორგანიზაციებიდან***).
ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ორგანიზაციის მონაწილეობას შემდეგი კომპონენტების განხორციელებაში: ***კურიკულუმის შემუშავება, ცალკეული სალექციო კურსის წარმართვა ჩვენი პროფესორების მიერ, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სტუდენტების გაცვლა, ერთობლივი ხარისხის მინიჭება და სხვ.***

უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერა

უნივერსიტეტის ბეჭედი

თარიღი